



# საქართველო

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

GEORGIA

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



ზუგდიდი

N 2177

04/09/2020

2177-02-4-202009041800



### მერის ბრძანება

#### ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №512 ბრძანებაში „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- შეტანილ იქნას ცვლილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის №512 ბრძანების დანართი №1-ის მე-4 მუხლში და მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:  
„1. მოსამსახურის სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების აღრიცხვა წარმოებს სპეციალური ტექნიკური საშუალებით, მოსამსახურისთვის გადაცემული ელექტრონული ბარათის (შემდგომში - ბარათი) მეშვეობით. ბარათი მოსამსახურეს თან უნდა ქონდეს სამუშაო საათებში. სპეციალური ტექნიკური საშუალების (ტურნიკეტი) გაუმართაობის შემთხვევაში დასაქმებული სამსახურში გამოცხადებას და სამსახურიდან გასვლას აფიქსირებს თანამშრომელთა გამოცხადებისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალში ხელისმოწერით“.
- დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებას ბრძანების საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ყველა საჯარო მოხელისათვის გაცნობა.
- დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
- საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ 123-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ბრძანების ასლი გადაეგზავნოს საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირს.
- ბრძანების დანარჩენი ნაწილი დარჩეს უცვლელი.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი მენგელია



მერი